ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2430667

ნომერი: AR1376018

თარიღი : 05.02.2016

გაცემის თარიღი : 12.02.2016

გაცნობის თარიღი : 12.02.2016

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მცხეთის მხრიდან შემოსასვლელი გზის მარჯვენა მხარეს;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ზურაბ ნაცვლიშვილი პ/ნ 01007005836
- თბილისი გლდანი III მ/რ კორ. 72 ბ. 183

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის – სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა AR1376018 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას, თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.72.14.006.265) სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
აღნიშნული ტერიტორია მდებარეობს საზოგადოებრივ–საქმიან ზონა 2 (სსზ-2)-ში, რომელიც ითვალისწინებს აღმაშენებლის ხეივნის გაფართოების მიზნით განაშენიანების რეგულირების ხაზს გზიდან დაახლოებით 12.0მ.–ს, რისი გათვალისწინებითაც საპროექტო ტერიტორია რჩება განაშენიანების რეგულირების ხაზის მიღმა (იხ. დანართი);
გამომდინარე აქედან აღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილი არ არის;შესაძლებელია განხორციელდეს ტერიტორიაზე არსებული შენობა–ნაგებობის რეკონსტრუქცია ფართის უცვლელად,არსებულ გაბარიტებში;
ასევე ინფორმაციის სახით მოგახსენებთ, რომ არქიტექტურის სამსახურის მიერ (03.12.2014 წლის №1625493) მოცემულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვს. N 006/265) გაცემულია არსებული შენობის ფასადების სარეკონსტრუქციო სამუშაოების (მიშენებისა და ფართის ცვლილების გარეშე) განხორციელების შესაძლებლობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება.

- კიდამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.